

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ბილაალ დუიშვილის ისტორია

ბილაალ დუიშვილი სტუდენტია. მას ბრალად ედება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, პოლიციელის შეურაცხყოფა (სამართალდარღვევა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამარათალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით).

ბილაალ დუიშვილი 2024 წლის 4 დეკემბერს, რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 03:42 საათზე დააკავეს. აღსანიშნავია, რომ 3 დეკემბერს, ბილაალი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე, სადაც ისევე როგორც აქციაზე შეკრებილი სხვა მოქალაქეები, აპროტესტებდა ხელისუფლების ანტიდასავლურ კურსს და მოითხოვდა ახალი, ლეგიტიმური არჩევნების დანიშვნასა და უკანონოდ დაკავებული მოქალაქეების გათავისუფლებას. მან დაახლოებით 23:00 საათისთვის დროებით დატოვა აქცია. ტერიტორიის დატოვებიდან მალევე, რუსთაველის გამზირზე გაისმა პირველი ხმოვანი მოწოდება აქციის დაშლისკენ, რასაც მოჰყვა საპოლიციო ძალების მხრიდან შესაბამისი საშუალებების გამოყენება. ბილაალ დუიშვილი, დაკავებამდე 20-30 წუთით ადრე, კვლავ დაბრუნდა აქციაზე და იმყოფებოდა სასტუმრო "ბილტმორის" მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც აქციის მონაწილეების დიდი ნაწილი იყო განლაგებული. მალევე, საპოლიციო ძალებმა კვლავ დაიწყეს აქციის მონაწილეების დაშლა. ამ დროს სპეციალური დანიშნულების რაზმები განლაგებულები იყვნენ ცისფერ გალერეასთან. ასევე, მათ გადაკეტილი ჰქონდათ რესპუბლიკის მოედანთან არსებული წრიული. როგორც მედიაში გავრცელებულ კადრებში ჩანს, ხმოვანი სიგნალი და წყლის ჭავლის გამოყენება დაიწყო 03:30 წუთზე, რის შემდეგაც ბილაალ დუიშვილი აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად დაიძრა რუსთაველის მეტროს მიმართულებით. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეები რესპუბლიკის მოედანს მიუახლოვდნენ და მსვლელობას აგრძელებდნენ რუსთაველის მეტროსკენ, წრიულთან, სპეციალური დანიშნულების რაზმებმა დაიწყეს აქციის მონაწილეების დევნა და მათი დაკავება. რა დროსაც, დაახლოებით 03:42 წუთზე, მოხდა ბილაალის დაკავება. უკანონო დაკავების დროს, ის დაბლა დააგდეს და ფიზიკური ძალის გამოყენებით გადაიყვანეს პოლიციის დაკავების მიკროავტობუსში.

მედიის მიერ მოპოვებულ კადრებში კარგად ჩანს, როგორ აგდებს დაბლა პოლიციის 10-მდე თანამშრომელი ბილაალს და ფიზიკურად უსწორდება. დაკავების შემდეგ, ბილაალი პოლიციის კორდონში გაატარეს, სადაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ურტყამდნენ თავისა და კეფის არეში.

სპეცრაზმელები ბილაალს განსაკუთრებული აგრესიით ეპყრობოდნენ და გამუდმებით უმეორებდნენ, რომ აქციაზე აღარ გამოჩენილიყო. სხვა დაკავებულებთან ერთად, მას რამდენიმე სპეცრაზმელი 15-20 წუთის განმავლობაში მიკროავტობუსში სცემდა, შემდეგ კი, დაკავებული საპატრულო ეკიპაჟს გადასცეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ბილაალს ჩამოართვეს საფულე, ხოლო ტელეფონი დაკავებისას დაიკარგა, ან ამოაცალეს.

პოლიციის განყოფილებაში, ბილაალს ჩაუტარდა გარეგანი დათვალიერება, რის შემდეგაც, დაახლოებით 40 წუთის შემდეგ, გადაწყდა, რომ მას სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. დაკავებული სასამართლოში გამოცხადების ხელწერილით გაათავისუფლეს და სამედიცინო პერსონალს გადასცეს, შემდეგ კი, მან 5-დღიანი მკურნალობის კურსი გაიარა თბილისის ცენტრალურ ჰოსპიტალში. ბილაალს ჰქონდა ცხვირის მოტეხილობა, რის გამოც დასჭირდა გადაუდებელი ოპერაცია. გარდა ამისა, აღენიშნებოდა მრავლობითი დაჟეჟილობები სხეულის სხვადასხვა მიდამოებში.

რამდენიმე დღის შემდეგ, მისი საქმე სასამართლოში განიხილა მოსამართლე ზვიად ცეკვავამ. დაკავებულის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა. აღსანიშნავია, რომ მათი ჩვენებები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ რეალურად, ისინი დაკავების მომენტში ადგილზე არც კი იმყოფებოდნენ.
პოლიციელებმა ბილაალის მხრიდან შეურაცხყოფის ფაქტი ვერ დაადასტურეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსამართლე ცეკვავამ ის ბრალდებულად ცნო. საბოლოოდ, ახალგაზრდა სტუდენტი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა და სიტყვიერი შენიშვნა მიიღო.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, რომელიც სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესაძლო გადაჭარბებისა და დამამცირებლად არაადამიანური მოპყრობის ფაქტს იკვლევდა. საგამოძიებო სამსახურმა ბილაალს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოძიების ფარგლებში არც მისი რეალური დამკავებლები დაკითხულან და არც ის პოლიციელები, ვინც ახალგაზრდის წინააღმდეგ სასამართლოში ჩვენება მისცა.